



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №59

კოდიფიცირებული

ქ. ბათუმი

07 ივლისი, 2017 წ.

ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტისა და მაგისტრატურის, რეზიდენტურისა და დოქტორანტურის მართვის სამსახურის უფროსის თამარ მაჭუტაძის სამსახურეობრივი ბარათის (MES 1 17 00775960, 03.07.2017) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

და ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს „ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესი“ დანართი 1-ის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში მიღების წესის“ დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 ივლისის №83 დადგენილება.
3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე და დაეგზავნოს ბსუ-ს ფაკულტეტებს და სტრუქტურულ ერთეულებს.
4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი

მერაბ ხალვაში

ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესი

1. ზოგადი დებულებანი

1.1. წინამდებარე წესი არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „ბსუ“) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების პროცედურას.

1.2. მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების უფლება აქვს ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირს. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე პირის ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

1.3. ბსუ-ს მაგისტრატურაში ჩარიცხვის უფლება აქვს პირს, რომელმაც წარმატებით ჩააბარა საერთო სამაგისტრო გამოცდა, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში დარეგისტრირდა ბსუ-ში მაგისტრანტობის კანდიდატად, ჩააბარა ბსუ-ს მაგისტრატურაში მისაღები გამოცდები და დადგენილი ვადაში გააფორმა ხელშეკრულება ბსუ-სთან.

2. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია

2.1. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა და ადგილი, ასევე წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირები (მიმღები კომისია/კომისიები) განისაზღვრება ყოველწლიურად, რექტორის ბრძანებით.

2.2. კანდიდატად რეგისტრირდება მხოლოდ ის პირები, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს საერთო სამაგისტრო გამოცდები და სრულყოფილად წარმოადგინეს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტაცია.S

2.3. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი მაგისტრანტობის კანდიდატთა აღრიცხვას აწარმოებს სპეციალურ ჟურნალში, სადაც ფიქსირდება: მაგისტრანტობის კანდიდატის სახელი და გვარი, სასურველი სამაგისტრო პროგრამა, ფაკულტეტი, წარმოდგენილი საბუთების ჩამონათვალი, ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი, ჩასაბარებელი უცხო ენა (ბსუ-ს „ლინგვისტიკის“ და „ევროპისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველი მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის - B2 დონე, ხოლო სხვა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველი მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის - B1 დონე), მაგისტრანტობის კანდიდატისა და რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერები და რეგისტრაციის თარიღი.
(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 06 აგვისტოს N06-01/46 დადგენილებით).

2.4. რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ, შემოსული განცხადებების მიხედვით, შესაბამისი სამსახურის უზრუნველყოფს საგამოცდო უწყისების მომზადებასა და კანდიდატთა სიის ელექტრონული და ბეჭდური ვერსიის ბსუ-ს საგამოცდო ცენტრისთვის მიწოდებას.

3. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდები

3.1. ბსუ-ს აკადემიური საბჭო ყოველწლიურად, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, განსაზღვრავს სამაგისტრო პროგრამების ჩამონათვალს და ამ პროგრამებზე მისაღებ კონტინგენტს, სწავლის საფასურს, სამაგისტრო გამოცდებისათვის მინიჭებულ კოეფიციენტებს, საგამოცდო ტესტის ტიპს, თითოეული სამაგისტრო პროგრამისთვის მისაღებ გამოცდებს და სხვა, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პირობას.

3.2. შესაბამისი ფაკულტეტი ვალდებულია ბსუ-ს ვებგვერდზე გამოაქვეყნოს ცალკეული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდების თემატიკა.

3.3. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდები ტარდება წერილობითი ფორმით, მათ შორის უცხო ენის გამოცდა შესაძლებელია იყოს ტესტირებული, ხოლო სპეციალობის გამოცდა კომბინირებული (ტესტირებული და საკითხები/თემები). ამასთან, ცალკეული საკითხის/თემის მაქსიმალური შეფასება არ შეიძლება იყოს 10 ქულაზე მეტი.

3.4. გამოცდაზე მისაღები მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა, ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 51 %.

3.5. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების ჩატარების დრო და ადგილი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით და ქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე.

3.6. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის შედეგები ცალკეული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით აისახება საგამოცდო უწყისში (**წინამდებარე წესი დანართი 1**) რომლის შევსებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი საგამოცდო კომისია.

3.7 მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის შედეგები ცალკეული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით ქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. საგამოცდო კომისიები

4.1. მაგისტრანტობის კანდიდატთა საგამოცდო ნამუშევრების გასწორების მიზნით, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით იქმნება საგამოცდო და სააპელაციო კომისიები (არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით). თითოეულ საგამოცდო კომისიისათვის დეკანის წარდგინებით გამოიყოფა თითო წევრი სააპელაციო კომისიისათვის. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს საგამოცდო კომისიის წევრი.

4.2. სააპელაციო კომისიის სხდომებს უძღვება კომისიის თავმჯდომარე, რომელიც, შემოსული აპელაციების მიხედვით იწვევს სააპელაციო კომისიის შესაბამისი დარგის წარმომადგენელს. კომისიის მუშაობის შედეგები და გადაწყვეტილებები აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

4.3. სააპელაციო კომისია განიხილავს მისაღებ გამოცდებზე დაფიქსირებულ დარღვევებთან და გამოცდის შედეგებთან დაკავშირებულ პრეტენზიებს. კომისიას უფლება აქვს შეფასების ობიექტურობის დადგენის მიზნით მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი.

5. გამოცდის შედეგების გასაჩივრება

5.1. მაგისტრანტობის კანდიდატს უფლება აქვს მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის შედეგების გასაჩივრების მიზნით ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით

წარმოადგინოს საპრეტენზიო განაცხადი (აპელაცია), გამოცდის შედეგის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა.

5.2. საპრეტენზიო განაცხადების განხილვა და განხილვის შედეგების გაცნობა მაგისტრანტობის კანდიდატისათვის ხდება რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში.

5.3. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის შედეგის შეცვლის შემთხვევაში შესაბამის საგამოცდო უწყისში მაგისტრანტობის კანდიდატის გასწვრივ კეთდება ჩანაწერი "შესწორებულია n ქულა", უწყისის ბოლოს კი, ფიქსირდება სააპელაციო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა. საგამოცდო უწყისს უნდა დაერთოს სააპელაციო კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილება.

5.4. საპრეტენზიო განაცხადების განხილვის ვადის ამოწურვისთანავე მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების საბოლოო შედეგები ქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე.

6. მაგისტრანტობის კანდიდატთა ბსუ-ში ჩარიცხვა

6.1. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, თითოეული სამაგისტრო პროგრამისთვის იქმნება სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტი.

6.2. რანჟირების დოკუმენტის მიხედვით დგინდება იმ მაგისტრანტობის კანდიდატთა სია, რომლებმაც მოიპოვეს კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება.

6.3. რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე ფაკულტეტები უზრუნველყოფენ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულებების გაფორმებას და დადგენილ ვადაში რექტორს წარუდგენენ ბსუ-ში ჩარიცხვის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატთა სიას.

6.4. მაგისტრანტობის კანდიდატებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანება, რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მიეწოდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

ბსუ-ს მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის შეფასების უწყისი №

ფაკულტეტი _____

სამაგისტრო პროგრამა _____

საგამოცდო საგანი _____

საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე: _____

(გვარი, სახელი, აკადემიური თანამდებობა)

საგამოცდო კომისიის წევრები: 1.

(გვარი, სახელი, აკადემიური თანამდებობა)

2. _____

(გვარი, სახელი, აკადემიური თანამდებობა)

3. _____

(გვარი, სახელი, აკადემიური თანამდებობა)

№	მაგისტრანტობის კანდიდატის გვარი, სახელი	მაგისტრანტობის კანდიდატის პირადი ნომერი	შეფასება	
			ქულა	სიტყვიერად
1.				
2.				

საგამოცდო კომისიის წევრების ხელმოწერები:

1. _____

2. _____

3. _____

4. _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

(ბ. ა.)

გამოცდის ჩატარების თარიღი:

